



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

## კოალიცია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის შემდგომი ეტაპებიდან, საბჭოს ორი წევრის ჩამოცილებას მოითხოვს

კოალიცია **ქვემოთაღნიშნული** და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის **ქვემოთაღნიშნული** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის დაწყებას და მოუწოდებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (საბჭო) ორ წევრს ჩამოაცილდნენ კანდიდატების განხილვის შემდგომ ეტაპებს.

2019 წლის 7 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანდიდატების განხილვის პროცესი. კანდიდატების რეგისტრირების თაობაზე მსჯელობის დაწყებამდე, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საბჭოს მოსამართლე წევრის, თამარ ონიანისა და ერთ-ერთი კანდიდატის, ბურაბ აზნაურაშვილის ნათესაური კავშირის შესახებ. **ქვემოთაღნიშნული** სასამართლოების შესახებ **ქვემოთაღნიშნული** საქართველოს ორგანული კანონი ცალსახად ავალდებულებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში, წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. პირადი ინტერესების არსებობისას, კოლეგიური ორგანოს ინფორმირების ვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ჩამოშორებას ითვალისწინებს ასევე **ქვემოთაღნიშნული** დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ **ქვემოთაღნიშნული** საქართველოს კანონიც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრისა და

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ერთ-ერთი კანდიდატის ნათესაური კავშირის შესახებ გაუღებელი ინფორმაციის სიზუსტე საბჭოს სხდომაზე დადასტურდა, თამარ ონიანმა უგულებელყო კანონმდებლის მოთხოვნა, კერძოდ, წინასწარ არ აცნობა საბჭოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ და რაც უფრო პრობლემურია, რამდენიმე არამოსამართლე წევრის მონოდეების მიუხედავად, არ ჩამოსცილდა კანდიდატების განხილვის პროცესს.

რაც შეეხება საბჭოს კიდევ ერთ წევრს, 2019 წლის 14 მაისს, კოალიციამ **□□□□□□□□□□** და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის **□** საქართველოს პარლამენტს მიმართა მოთხოვნით, შეისწავლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის - ზაზა ხარებავას არჩევის კანონიერების საკითხი. არსებული ინფორმაციით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ზაზა ხარებავას არჩევისას, მისი კანდიდატურა პარლამენტს არაუფლებამოსილმა სუბიექტმა წარუდგინა, რაც პარლამენტის რეგლამენტისა და **□□□□□□** სასამართლოების შესახებ A საქართველოს ორგანული კანონის არსებითი დარღვევა და მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის აშკარა წინაპირობაა. თუმცა, დღემდე, საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, პარლამენტს ამ საკითხზე არ უმსჯელია, და ზაზა ხარებავა აგრძელებს საბჭოში საქმიანობას, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი არაერთი ეტაპისაგან შედგება, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თითოეულ ხმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გადაწყვეტილების მიღებაში საბჭოს იმ წევრების მონაწილეობა, რომელთა ჩართულობის კანონიერების მიმართ საზოგადოებას ლეგიტიმური კითხვები უჩნდება, კიდევ უფრო ართულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ობიექტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად წარმართვის შესაძლებლობას და ამცირებს საზოგადოების ნდობას ამ პროცესის მიმართ.

## **შესაბამისად, ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კოალიცია მოუწოდებს:**

- 1. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლე წევრს, თამარ ონიანს,** ჩამოსცილდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების განხილვისა და კენჭისყრის შემდგომ ეტაპებს;
- 2. საქართველოს პარლამენტს,** უმოკლეს ვადებში გადაწყვიტოს ზაზა ხარებავას არჩევის კანონიერების საკითხი;
- 3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრს, ზაზა ხარებავას,** საკუთარი ნებით ჩამოსცილდეს საბჭოში ნებისმიერი საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**  
**GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION**



მონაწილეობას, პარლამენტის მიერ მისი არჩევის კანონიერების საკითხის შესწავლამდე.